ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა
და
კიევის მიხაილო ბოიჩუკის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების
და დიზაინის სახელმწიფო აკადემია

ბათუმი, საქართველო
«15» 07 2024

კიევი, უკრაინა
№13/1 «04» 06 2024

ერთის მხრივ, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორ თეიმურაზ კეჟერაძის მიერ, და მეორეს მხრივ, კიევის მიხაილო ბოიჩუკის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების და დიზაინის სახელმწიფო აკადემია, წარმოდგენილი რექტორ ოლენა ოსადჩას მიერ (შემდგომში წოდებულნი „მხარეებად") ეყრდნობიან რა თანამშრომლობის და ორმხრივი პატივისცემის პრინციპებს, უმაღლესი განათლების სფეროში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის და მათი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებში ჩართვის მიზნით მხარეები თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას;
- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მხარდაჭერას;
- კულტურულ-შემოქმედებითი კავშირების დამყარებას;
- სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვას.

მუხლი 1

მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას, რათა მოხდეს გამოცდილების გაზიარება საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებით სფეროებში, რომელიც მოიცავს:

ა)მასტერკლასების, სემინარების, კონფერენციების, ვორქშოპების, ტრენინგების და საჯარო ლექციების ჩატარებას;

ბ)საგანმანათლებლო პროგრამების შემუშვების მიზნით კონსულტაციების გაწევას;

გ)ერთობლივი სამაგისტრო პროგრამებისა და შემოქმედებითი პროგრამების მომზადებას.

1.2.მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს, რათა სტუდენტები ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში და განხორციელდეს პროფესორ-მასწავლებელთა სტაჟირება.
1.3.მხარეები მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტთა შემოქმედებით პროექტებში: ფესტივალები, კონკურსები, კონცერტები, წარმოდგენები, გამოფენები და სხვა.
1.4.მხარეები შეიმუშავებენ სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა საზაფხულო სკოლის პროგრამებს.
1.5.მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში.
1.6.მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების, მათ შორის გაცვლით და შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 2
2.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა
სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

მუხლი 3
3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება
კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. მემორანდუმის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო 5 წლით, თუ რომელიმე მხარე არ განაცხადებს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
3.3. წინამდებარე მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისთვის შეწყვეტამდე 6 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
3.4. მემორანდუმი შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომლებსაც აქვთ იგივე იურიდიული ძალა (ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე), რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
პროფესორი თ. ყავლაშვილი

.....

Georgia, Batumi
Z. Gorgiladze/Vazha-Pshavela N19/ 32
E-mail: info@batu.edu.ge
Web-site: www.batu.edu.ge

კიევის მიხაილო ბოიჩუკის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების და დიზაინის სახელმწიფო აკადემიის რექტორი
პროფესორი ო.ოსადჩა

.....

Ukraine, Kyiv
Mykhailo Boychuk Street, 32, 02000
E-mail: int_de@kdidpmid.edu.ua
Web-site: https://kdidpmid.edu.ua/academy/